ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1169343

ნომერი: AR1200975

თარიღი : 11.03.2014

გაცემის თარიღი : 14.03.2014

გაცნობის თარიღი : 14.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" მიეთითოს საპროექტო შენობის ზუსტი ფუნქცია. ასევე აისახოს საპროექტო შენობა წარმოადგენს ცალკე მდგომ დამოუკიდებელ შენობას თუ ხდება არსებული შენობის წინამდებარე ტერიტორიის შემინვა.

- საკადასტრო გეგმაზე დატანილ იქნას საპროექტო შენობა ზუსტი ადგილმდებარეობით და გაბარიტული ზომების მითითებით, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში".

- მოხდეს საკადასტრო გეგმის განახლება, სადაც დატანილი იქნება საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული შეზღუდვა მიწის ნაკვეთის 415 კვ.მ. ფართობის სერვიტუტი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო შენობა არ უნდა განთავსდეს სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე.

- წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

- საპროექტო შენობის უკეთ დაანგარიშების მიზნით და თვალსაჩინოებისათვის საჭიროა ასევე წარმოდგენილ იქნას ესკიზური ნახაზები საპროექტო შენობის და მიმდებარე არსებული შენობის დატანით დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.